საქართველოს რაგბის კავშირის
გამგეობის სხდომის

ოქმი

4 აპრილი, 2023 წ. | სასტუმრო „King Tamar“

ესწრებოდნენ:

გამგეობის წევრები:

- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- თორნიკე გოგებაშვილი (დაბადებული 16.01.1989 წ; პირადი № 12001014781)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ; პირადი № 01031003677)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ.; პირადი № 12001031106)
- ზვიად თავართქილაძე (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01029001924)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 16.01.1985 წ.; პირადი № 01035000140)
- გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
- გელა ქობულაძე (დაბადებული 30.04.1986 წ.; პირადი № 61006019618)
- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ; პირადი № 01014002287)
- გივი ჭიჭინაძე (დაბადებული 02.07.1959 წ.; პირადი № 01009002077)

სხდომის მომწვევი: დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:

- ლევან ღვაბერიძე, სრკ-ს საერთაშორისო სამსახურის უფროსი
- შალვა ხაბულიანი, სრკ-ს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
- თორნიკე სამანიშვილი, სრკ-ს მარკეტინგის სამსახურის უფროსი
- ასმათ ჯანგულაშვილი, სრკ-ს ფინანსური სამსახურის უფროსი
- თამარ გიორგობიანი, სრკ-ს კადრების სამსახურის ხელმძღვანელი
- ედუარდ ნაჭყებია, სრკ-ს იურისტი
- სასკოლო რაგბის პროგრამის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები ზურაბ შენგელია, გიორგი კაჭარავა, მიხეილ ბარაბაძე
- კომპანია „მაკგილის“ წარმომადგენლები ანა გვასალია და სალომე გულუა

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შემავალი შემდეგი საკითხები:

1. სასკოლო რაგბის პროგრამა;
2. საერთაშორისო მიმართულება;
3. სრკ-ს მედია-გეგმა - გზა მსოფლიო თასისკენ;
4. კომპანია „ანაგის“ საკითხი;
5. სრკ-ს საქმიანობის ფინანსური ანალიზი;
6. ნაკრების, ოფიციალური დელეგაციის, სრკ-ს სტაფის ჩაცმულობა მსოფლიო თასზე;
7. სრკ-ს სტრუქტურა;
8. „ასოციაცია ატუს“ მიერ სრკ-სთვის სარაგბო ბაზების გადმოცემის საკითხილ
9. სატრანსფერო დებულება

სხდომამ გადაწყვიტა:

<u>**პირველ საკითხად**</u>, საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ მოისმინა ზურაბ შენგელიას, გიორგი კაჭარავას და მიხეილ ბარაბაძის პრეზენტაცია <u>**სასკოლო რაგბის პროგრამასთან დაკავშირებით**</u>, რომლის ფარგლებშიც სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებმა სრკ-ს გამგეობას წარმოუდგინეს დეტალური ინფორმაცია ბავშვთა რაგბის განვითარების ამ პროგრამაზე, რომელიც სარგებლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით და ამჟამად ხორციელდება 151 სკოლაში მთელი საქართველოს მასშტაბით, სპეციალურად გადამზადებული ინსტრუქტორებისა და ფიზ.კულტურის მასწავლებლების მიერ. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 11-13 წლის ასაკის 5000-ზე მეტი ბავშვი (როგორც ბიჭები, ისე გოგონები); პროგრამის ძირითადი მიზნებია რაგბის ფასეულობების პოპულარიზაცია მოსწავლეებში და, გრძელვადიან პერსპექტივაში, მოსწავლეების მომზადება სარაგბო კერებში შემოდინებისთვის, რაც წარმოადგენს პროგრამის ძირითად მისი წინამორბედისგან, პროექტისგან „ჩაერთე რაგბიში“, რომლის ფარგლებშიც აქცენტი კეთდებოდა რაგბის სწავლებაზე და საშეჯიბრო ელემენტზე. არაპირდაპირი სახით, პროექტი ასევე ემსახურება ცხოვრების ჯანსაღი წესის და ზოგადად სპორტის პოპულარიზაციას.

სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, როგორიცაა საზოგადოებაში პროგრამასთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლებაზე მიმართული აქტივობების ნაკლებობა; პროგრამის ფარგლებში შეძენილი და სკოლებისთვის მიწოდებული აღჭურვილობის ხარისხის უფრო მკაცრი კონტროლის საჭიროება და ა.შ.

მსჯელობის ფარგლებში, გიორგი კობახიძემ გამოთქვა მოსაზრება ამ პროგრამის ძირძველი ქართული სპორტის სახეობის - ლელობურთის პოპულარიზაციისთვის გამოყენების (ან მისი რეპლიკაციის თაობაზე).

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ დაავალა პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრებს, გამგეობის შემდეგი სხდომისთვის (სავარაუდოდ, ორი კვირის ვადაში) მოამზადონ პროგრამის შემდგომი გავრცობის

გეგმა, ამისთვის საჭირო აქტივობების, ვადების და მატერიალური და ადამიანური რესურსების მითითებით.

<u>მეორე საკითხად</u>, საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ მოისმინა სრკ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსის ლევან ღვაბერიძის დეტალური მოხსენება <u>საერთაშორისო მიმართულების შესახებ</u>. პირველ რიგში, მან გააცნო გამგეობის წევრებს საქართველოს რაგბის კავშირის მიერ დაგეგმილი აქტივობები მსოფლიო თასის პერიოდში, რომლებიც გაიმართება საფრანგეთში მცხოვრები ქართული დიასპორის, საქართველოს დიპლომატიური მისიის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის სააგენტოს ჩართულობით და მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქების ხელისუფლების ხელშეწყობით. აღნიშნული აქტივობები, რომელიც საქართველოს თითოეული მატჩის გარშემო იგეგმება, მიზნად ისახავს გულშემატკივრებთან ურთიერთობას, საქართველოს წარმოჩენას საერთაშორისო სარაგბო არენაზე და ახალი პარტნიორების მოზიდვას.
მერაბ ანთაძემ ივარაუდა, რომ აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზებისას საქართველოს რაგბის კავშირის ოფიციალურ წარმომადგენლებს შეიძლება დასჭირდეთ პროტოკოლის სპეციალისტების დახმარება.
ლევან ღვაბერიძემ ასევე ისაუბრა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის საქმიანობის სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორიცაა მსოფლიო რაგბთან, 6 ერთან, რაგბი ევროპასთან და EPCR-თან ურთიერთობები, გააცნო მათ მსოფლიო რაგბის ახალი რეგულარული ტურნირის პროექტი, რომელმაც შესაძლოა ჩაანაცვლოს ტრადიციული ტესტ-მატჩები, შავი ლომის Challenge Cup-ზე გასვლის გზები და ვადები, 2024 წლიდან საქართველოს 6 ერის 18-წლამდელთა ფესტივალში მონაწილეობის პირობა და სამომავლოდ 6 ერის 20-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილეობის პერსპექტივა.
საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ გამოთქვა სურვილი, რომ გამგეობის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ როგორც მსოფლიო თასის თანამდევ აქტივობებში, ისე საერთაშორისო სარაგბო ორგანიზაციებთან მოლაპარაკების პროცესში.

<u>მესამე საკითხად</u>, საქართველოს რაგბის კავშირის მარკეტინგის სამსახურის უფროსმა თორნიკე სამანიშვილმა წარუდგინა გამგეობის წევრებს რაგბის <u>მსოფლიო თასზე საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული მედია-გეგმა</u>. მან მიმოიხილა მედია-გეგმის მიზნები - მსოფლიო თასის გარშემო მღელვარების შექმნა, მოგებების მოლოდინი, მსოფლიო თასისთვის ნაკრების მზადების გაშუქება, გულშემატკივართა აქტივობის ორგანიზება როგორც საქართველოში, ისე საფრანგეთში; ისაუბრა სამიზნე აუდიტორიაზე და მისი გაზრდის პერსპექტივებზე, გაშუქების არხებზე და მათ სპეციფიკაზე, გააჟღერა სასურველი ბიუჯეტი და მისი განაწილება სხვადასხვა მედია-არხებზე, ჩამოთვალა შესრულების ინდიკატორები.

გიორგი კობახიძე დაინტერესდა, რამდენად იქნება გამოყენებული ამ თვალსაზრისით ქართული რაგბის ისტორია, მოხდებოდა თუ არა პროცესში ვეტერანი ქართველი მორაგბეების ჩართვა, რაზედაც თორნიკე სამანიშვილმა უპასუხა მას, რომ ყველა დეტალი მოცემულია მედია-გეგმის გაშლილ ვერსიაში, რომელიც გამგეობის წევრებს წარედგინებოდათ სხდომის შემდეგ დამატებითი მასალის სახით.
კაკი დავითულიანმა გამოთქვა სურვილი, რომ მსოფლიო თასის გაშუქებასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩაერთონ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფები - ვეტერანი მორაგბეები, შშმ პირები, სპორტის სხვა სახეობების პოპულარული წარმომადგენლები და ა.შ., რომლებიც დაესწრებიან საქართველოს თამაშებს და/ან გამოხატავენ საქართველოს მიმართ მხარდაჭერას.
იოსებ ტყემალაძემ გამოთქვა სურვილი გამგეობის მომდევნო სხდომაზე წარმოდგენილი იქნას დეტალური მოხსენება მარკეტინგული მიმართულების თაობაზე.

<u>მეოთხე საკითხთან დაკავშირებით</u>, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ და სრკ-ს პარტნიორი კომპანიის „მაკგილის“ წარმომადგენლებმა წარუდგინეს გამგეობის წევრებს ინფორმაცია 2018 წლის 27 ნოემბერს შპს ააიპ საქართველოს რაგბის კავშირსა და შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თაობაზე, რომელიც ეხებოდა რაგბის კავშირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (მის. ქ. თბილისი, ბავშვთა ქალაქი „მზიური“-ს ტერიტორიაზე, რაგბის მოედნის მიმდებარედ, ი. ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალურ ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის).
საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გამგეობის წევრებთან ერთად იმსჯელა ხელშეკრულების შინაარსზე.
სრკ-ს ინტერესების გათვალისწინებით და სამართლიანობის აღდგენის მიზნით, საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ დაავალა სრკ-ს პრეზიდენტს:

- დაიცვას საქართველოს რაგბის კავშირის ინტერესები და კომპანია „ანაგს“ მოთხოვოს ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, რაც ითვალისწინებს საქართველოს რაგბის კავშირისთვის 7’427 $მ^2$-ს გადმოცემას ქონების სახით და 500 000 აშშ დოლარის - ფულადი სახით და შეათანხმოს ხსენებული ქონების განაწილების და კონფიგურაციის საკითხი.
- მოხდეს კომპანია „ანაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საკითხის გატანა საქართველოს რაგბის კავშირის საერთო კრებაზე (ყრილობაზე)

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

<u>მეხუთე საკითხად</u>, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ და ფინანსური სამსახურის უფროსმა ასმათ ჯანგულაშვილმა წარუდგინეს გამგეობას **<u>საქართველოს რაგბის კავშირის საქმიანობის ფინანსური ანალიზი</u>** 2020 წლიდან დღემდე. პრეზენტაცია მოიცავდა ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებზე და მათ დინამიკაზე, წინა პერიოდიდან გადმოსული ვალდებულებების დაფარვაზე და მიმდინარე საჭიროებების მართვაზე, ძირითად დონორებთან - საქართველოს მთავრობასთან და მსოფლიო რაგბთან თანამშრომლობაზე, 2023 წლის სახელმწიფო დაფინანსებაზე, რომლის გარკვეული ნაწილიც გამოყოფილია განპიროვნებულად სარაგბო ინფრასტრუქტურის მართვის მიზნებისთვის, კლუბების დაფინანსების ზრდაზე.
ამასთანავე, იოსებ ტყემალაძემ გამგეობის წევრებს აცნობა, რომ მიმდინარეობს საქართველოს რაგბის კავშირის ფინანსური საქმიანობის აუდიტორული შემოწმება, რომლის შედეგებიც წარედგინება გამგეობას მიმდინარე წლის ბოლომდე.

<u>მეექვსე საკითხად</u>, საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა განუმარტა გამგეობის წევრებს, რომ რაგბის მსოფლიო თასზე ეროვნულ ნაკრებს, დელეგაციას და სრკ-ს შესაბამის თანამშრომლებს ესაჭიროება სათანადო **<u>ოფიციალური ჩაცმულობა</u>** და ითხოვა გამგეობის ნებართვა სხვადასხვა კომპანიებთან სამუშაოდ.
გამგეობის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

<u>მეშვიდე საკითხად</u>, საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა კიდევ ერთხელ მოახსენა გამგეობის წევრებს **<u>საქართველოს რაგბის კავშირის სტრუქტურაში შეტანილი ცვლილებების შესახებ</u>** და მიმოიხილა საშტატო განრიგი.

<u>მერვე საკითხთან დაკავშირებით</u> სრკ-ს იურისტმა ედუარდ ნაჭყებიამ მოახსენა გამგეობის წევრებს, რომ ა(ა)იპ „რაგბის განვითარების ჯგუფი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე, ასევე სრკ-ს სასარგებლოდ აღნაგობით დატვირთულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები იხილეთ დანართში #1) ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს მიერ, ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ საგრანტო დაფინანსებით, შესრულებულია სამშენებლო-სამონტაჟო და აღჭურვითი სამუშაოები, რომელთა შედეგად შექმნილი მატერიალური ფასეულობები ირიცხება ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს ბალანსზე, და ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“ მზადაა უსასყიდლობ (გრანტის სახით) გადმოსცეს აღნიშნული მატერიალური ფასეულობები საქართველოს რაგბის კავშირს.

საქართველოს რაგბის კავშირმა ითხოვა გამგეობის წევრთა თანხმობა ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-სგან აღნიშნული მატერიალური ფასეულობების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებაზე.
გამგეობის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

<u>მეცხრე საკითხთან დაკავშირებით</u>, რომელიც ეხებოდა **<u>კლუბ „ხვამლის“ შემოთავაზებას სატრანსფერო დებულების რედაქტირებასთან დაკავშირებით</u>**, სრკ-ს იურისტმა ედუარდ ნაჭყებიამ მიაწოდა გამგეობის წევრებს საჭირო განმარტებები საკითხის თავისებურებებთან დაკავშირებით.
გამგეობის წევრებმა გამოთქვეს სურვილი, კლუბ „ხვამლის“ შემოთავაზების დეტალურად განხილვის და სატრანსფერო დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იქნება სრკ-ს გამგეობის რამდენიმე წარმომადგენელი, სრკ-ს შესაბამისი თანამშრომლები და კლუბების წარმომადგენლები.

<u>სხდომის ბოლოს</u>, იოსებ ტყემალაძემ და თორნიკე გოგებაშვილმა შეახსენეს გამგეობის წევრებს **<u>ლევან ხაზალიას საკითხი და მის მიმართ საქართველოს რაგბის კავშირის დავალიანება, რომელიც განხილულ იქნა 2021 წლის 29 ნოემბრის გამგეობის სხდომაზე</u>**. მსჯელობის შედეგად, **გამგეობამ გადაწყვიტა მოსთხოვოს ლევან ხაზალიას თავისი პოზიციის და მოთხოვნების წერილობით ჩამოყალიბება და წარდგენა, რის შემდეგაც საქართველოს რაგბის კავშირი მოახერხებს აღნიშნული საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად აუცილებელი ნაბიჯების გადადგმას.**

ხელმოწერები

მერაბ ანთაძე _____

თორნიკე გოგებაშვილი _____

მამუკა გორგოძე _____

აკაკი დავითულიანი _____

ზვიად თავართქილაძე _____

დავით კაჭარავა _____

გიორგი კობახიძე _____

იოსებ ტყემალაძე _____

გრიგოლ ქერაშვილი _____

გელა ქობულაძე _____

ალექსანდრე ხვედელიძე _____

გივი ჭიჭინაძე _____